ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 9 (ცხრა) თვის მუშაობის ანგარიში

2023 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული იქნა შემდეგი საქმიანობა:

2023 წლის 01 თებერვალს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის N ბ92.922303221 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა „მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წლის წლიური სამოქმედო გეგმა „დანართის შესაბამისად, ხოლო 2023 წლის 8 მაისის Nბ92.92231289 ბრძანებით, განხორციელდა ცვლილება ბრძანების დანართში და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წლის განმავლობაში დაიეგეგმა სულ 3 შიდა აუდიტის ობიექტების შემოწმება/იხილეთ ცხრილი/.

2023 წლის სამოქმედო გეგმაში ასევე გათვალისწინებულ იქნა საკონსულტაციო საქმიანობა და არაგეგმიური შემოწმებების აუცილებლობის წარმოშობის შესაძლებლობა.

დანართი N1.

შიდა აუდიტის ობიექტი	**აუდიტის სახე**	**აუდიტის მიზანი**	**შემოწმების პერიოდი**	**შესამოწმებელი პერიოდი**	**აუდიტორთა რაოდენობა**
მერიის „ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური“	შესაბამისობის აუდიტი	სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის მის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობის შეფასება	I- II კვარტალი	1.01.2022-31.12.2022 წლები	3
ა.(ა.)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	ა.(ა.)ი.პ.-ის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების წარმოების შემოწმება. განხორციელებული საქმიანობის მის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობის შეფასება.	III- IV კვარტალი	1.01.2021-31.12.2022 წლები	3
ა(ა)იპ ლაფოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	ა.(ა.)ი.პ.-ის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების წარმოების შემოწმება.	III- IV კვარტალი	1.01.2021-31.12.2022 წლები	3

განთვითარების ცენტრი“		განხორციელებული საქმიანობის მის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობის შეფასება.			
საკონსულტაციო საქმიანობა	-	-	15დღე	-	1
არაგეგმიური აუდიტი	-	-	34დღე	-	

-აუდიტის ობიექტების შერჩევის დასაბუთება.

2023 წელს შიდა აუდიტორული შემოწმებები მოიცავს მერიის ერთიანი სისტემის 3 (სამი) აუდიტის ობიექტს, აღნიშნული დაგეგმვა ეყრდნობა რისკების ფაქტორების შეფასებას მერიის ერთიან სისტემაში. მერიის სტრუქტურული ერთეულების-სამსახურებისათვის რისკ-ქულების მინიჭება მოხდა ჯამურად, მასში შემავალი განყოფილებების შესაბამისად. აუდიტის დაგეგმვის ეტაპზე მოხდება ინდივიდუალურად შესამოწმებელ ობიექტებში არსებული პროცესების შესწავლა, არსებული რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და მაღალი რისკის მქონე პროცესების შემოწმება.

შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წლის სამოქმედო გეგმის მომზადებისას, გათვალისწინებული იქნა აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა და დროითი რესურსების გონივრული გადანაწილების აუცილებლობა (დან. N2), შერჩეული აუდიტის ტიპების სირთულე და აუდიტის ობიექტების მრავალფეროვნება. (საშტატო განრიგით შიდა აუდიტის სამსახური შედგება 3 აუდიტორისგან და 1 სამსახურის უფროსისაგან. წლის დასაწყისში (გეგმის შედგენის დროს) ირიცხებოდა 3 თანამშრომელი.).

დანართი - N2.

რისკის გადანაწილება დონეებად ქულების მიხედვით	პირობითი სამუშაო დღეები დონეების მიხედვით
რისკის დაბალი დონე - 1-1.6 ქულა	რისკის დაბალი დონე -30+სამუშაო დღე
რისკის საშუალო დონე -1.7-2.3 ქულა	რისკის საშუალო დონე -60+ სამუშაო დღე
რისკის მაღალი დონე -2.4-3 ქულა	რისკის მაღალი დონე -90+სამუშაო დღე
შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წლის საქმიანობის გეგმა დღეებში	
აუდიტორული შემოწმებისათვის საჭირო სამუშაო დღეები 2023 წლის გეგმის მიხედვით	200 -სამუშაო დღე
არაგეგმიური აუდიტი	34- სამუშაო დღე
სხვა	15-სამუშაო დღე
საქმიანობის დღეების ჯამი	249 -სამუშაო დღე

-გეგმის შესაბამისად, განსაზღვრული ობიექტის „მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური მომსახურების სამსახურის“ შემოწმება დასრულებულია.
შემოწმდა 2021-2022წლის ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების წარმოება და განხორციელებული საქმიანობის მის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობა. რაზეც მომზადდა ანგარიში და გადაეგზავნა სამსახურს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად. აქვე გვინდა ავღნიშოთ, რომ არსებითი ხასიათის შენიშვნები კონკრეტული აუდიტის ობიექტის შემოწმების შემდგომ არ გვქონია.

--გეგმის შესაბამისად, განსაზღვრული ობიექტის „,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდული საქმეთა განვითარების ცენტრი''ს '2021-2022წლის ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების წარმოება და განხორციელებული საქმიანობის მის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობის შეფასების შემოწმება დასრულებულია.
არსებითი ხასიათის შენიშვნები კონკრეტული აუდიტის ობიექტის შემოწმების შემდგომ არ გვქონია.
-ამ დროისთვის მიმდინარეობს გეგმით განსაზღვრული ობიეტის ა.(ა)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამსახურის 2021-2022 წლის ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და განხორციელებული საქმიანობის მის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობის შემოწმება.
შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული შემოწმებების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლის მიზნით ხორციელდება ეტაპობრივად მონიტორინგი, კერძოდ: გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგი განხორციელდება რეკომენდაციების შესრულების გეგმის შემუშავება/ დამტკიცების შემდგომ.

1.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ა.(ა).ი.პ. ,,ლაგოდეხის სერვის ცენტრი''.

2.ა.(ა)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება.

მონიტორინგის შედეგად დადასტურდა რეკომენდაციების ნაწილობრივი შესრულება. კერძოდ, რეკომენდაციების ნაწილი შესრულებულია, ხოლო ნაწილი შესრულების პროცესშია.

2023 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ იქნა საკონსულტაციო საქმიანობა და არაგეგმიური შემოწმებების აუცილებლობის წარმოშობის შესაძლებლობა.

რაც შეეხება საკონსულტაციო საქმიანობას, მოგახსენებთ, რომ მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და აიპიების თანამშრომელთა მომართვიანობის შემდგომ ხდება კონკრეტული საკითხის შესწავლა და შესაბამისი საქმიანობის განხორციელება. რაშიც აქტიურად არიან ჩართულნი შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები.

2023 წლის იანვრის თვიდან 2023 წლის სექტემბრის ჩათვლით მერიის შიდა ადიტის სამსახურში შემოსული, წერილზე მომზადებული პასუხის და სამსახურის მიერ მომზადებული შიდა კორესპოდენციის საერთო რაოდენობამ შეადგინა - 27 .

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის 9 ივნისის N ბ92.92231605 ბრძანებით, დამტკიცებული იქნა „მერიის შიდა აუდტის სამსახურის 2024 -2026 წლების სტრატეგიული გეგმა. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) შიდა აუდიტის სამსახურის სტრატეგიული განვითარების გეგმას 2024-2026 წლებისათვის, რომელიც მოიცავს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის გრძელვადიან ხედვას, შესაბამისი მიზნებით და ამოცანებით, ასევე განვითარების ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს.

რაც შეეხება შიდა აუდიტთან დაკავშირებული სხვა საქმიანობას, მოგახსენებთ, რომ 2023 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნა შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და განვითარების მიზნით საჭირო სხვა და სხვა პროფესიონალურ სემინარებში, კურსებში და ტრენინგებში მონაწილეობის მიღება. შესაბამისად, სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის (ჰარმონიზაციის ცენტრი) მიერ გაიმართა 4 (ოთხი) დღიანი ვებინარი თემაზე ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა შიდა აუდიტის სუბიექტებში", ჰარმონიზაციის ცენტრის ახალი საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, პროექტის ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულების პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებული იქნა ევროკავშირის მიერ, ხოლო, ადმინისტირებას უზრუნველყოფდა მსოფლიო ბანკი Ernst and Young-ის თურქეთისა და საქართველოს ოფისებთან. აღნიშნულ ვებინარში მონაწილეობა მიიღეს შიდა ადიტის სამსახურის სამივე თანამშრომელმა.

აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ საჯარო აუდიტის სამსახური სსიპ-საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ დაგეგმილ ტრენინგს „რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი" რაც გაიმართა 5 ივნისიდან 22 ივნისის ჩათვლით. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შიდა აუდიტის ორმა თანამშრომელმა და გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

მერიის შიდა აუდიტის სამსახური აქტიურად არის ჩართული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესრულების პროცესში, რასაც ახორციელებს რეკომენდაციების შესრულების სისტემის ARIS. SAO.GE. მეშვეობით. კერძოდ: ARIS სისტემას რეკომენდაციების სამოქმედო გეგმების მომზადებისა და შესრულების მონიტორინგის პროცესი სრულად გადაჰყავს ელექტრონულ სივრცეში. სისტემა ითვალისწინებს ავტომატური შეხსენების შეტყობინებებს, რაც კონტროლის კარგი მექამიზმია.

სისტემაში განხორციელდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა (3 დონედ) რეგისტრირება.
სისტემის საშუალებითვე განისაზღვრა თითოეული რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.

ყველა რეკომენდაციაზე შემუშავებული იქნა სამოქმედო გეგმა, გაიწერა რეკომენდაციების შესრულების კონკრეტული ვადები, რომლის ფარგლებშიც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა და ეტაპობრივად მოხდება რეკომენდაციების შესრულების შესაბამის პროგრამაში ასახვა.

პატივისცემით,

მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი: /თამარი დარბაიძე/